საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1127/01
30/01/2020

1127-01-2-202001301411

შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფს“
მის: ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. N29

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 8 იანვრის №131 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციისას პროდუქციის გამოშვების პერიოდში განხორციელდა 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ტექნოლოგიური ხაზის გაუმჯობესება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ წილქვილში საათში 35 ტონა ცემენტის მიღება. შესაბამისად, არსებული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე წელიწადში შესაძლებელი გახდა 277 200 ტონა ცემენტის მიღება ნაცვლად 237 600 ტონისა. სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული და დასაზუსტებელია კონკრეტულად რას გულისხმობს წისქვილის ტექნოლოგიური ხაზის გაუმჯობესება;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდება თუ არა საწარმოში შემოტანილი ნედლეულის რაოდენობის ზრდა;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოდან უახლოესი მოსახლე მდებარეობს 135 მ-შ. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი სახლი მდებარეობს დაახლოებით 90 მ-ში;
- განცხადებაში აღნიშნულია, რომ წისქვილის წარმადობა ნორმალურ სიწმინდემდე დაფქვის შემთხვევაში 30 ტ/სთ-შია. დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება აღნიშნულში;
- არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ.

ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის

შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება. თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ იკვეთება დაგეგმილია თუ უკვე განხორციელდა საწარმოში აღნიშნული ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების განმეორებით წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით.

სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე